ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N17

2019 წლის 31 იანვარი
ქ. ქობულეთი

## სს ,,სილქნეტი‘‘-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს ,,სილქნეტი‘‘-ს თანდართული სქემის შესაბამისად ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N260-ის მიმდებარედ არსებულ გარე განათების ბოძზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს ,,სილქნეტმა‘‘ უზრუნველყოს საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი




...ასამონტაჟებელია აბელი
...რე განათების 8ც ბოძზე

## პირობითი ნიშნები

- გარე განათების ბოძი
- დრობ-კაბელი

| | | |
|---|---|---|
| 1 - 2 | | |
| ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა #260-ის მიმდებარედ | | |
| სახაზო ნაგებობები | CRM ID: 198560 | ფურცელი 1 / ფფ 1 |
| საქაბელო სქემა | სს. სილქნეტი თბილისი 7/13/2018 | SILKNET |

| | |
|---|---|
| ჯგუფის უფროსი | ა.ალუაშვილი |
| შეადგინა | გ.იასაშვილი |